ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

სს ლიბერთი ბანკის სესხზე მიბმული სიცოცხლის დაზღვევის პირობები

V 01.04.2021

1. დაზღვევაში მონაწილე მხარეები

მზღვეველი - ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ ს/კ 204426674; მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N 67

დამზღვევი – ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით („ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ მსესხებელი“), რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებას დებს მზღვეველთან ბანკის საკრედიტო რისკების უზრუნველსაყოფად და ვალდებულია გადაიხადოს დაზღვეულის - ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის პრემია.
დაზღვეული – ს.ს “ლიბერთი ბანკის“ მსესხებელი.

მოსარგებლე – წინამდებარე დაზღვევის პირობების მიხედვით მოსარგებლეს წარმოადგენს ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 203828304);

მსესხებელი - მოვალე ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს;

სადაზღვევევო შემთხვევა – დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით;

საკრედიტო ხელშეკრულება - სს „ლიბერთი ბანკსა“ და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი სესხით სარგებლობის პირობები;

2. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ანაზღაურება

2.1 **სადაზღვევო თანხა** შეადგენს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ სესხის ძირითად თანხას, რომელიც მცირდება მისი დაფარვის შესაბამისად.

2.2 **სადაზღვევო ანაზღაურება** - წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და უდრის ამ მომენტისთვის სესხის ძირითადი თანხის ნაშთს. საშეღავათო პერიოდით გაცემული სესხის შემთხვევაში, ასევე პოლისზე არსებული დავალიანების შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობით.

3. სადაზღვევო პერიოდი

3.1 სადაზღვევო პერიოდი არის დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში. წინამდებარე პირობებით, სადაზღვევო პერიოდი მოქმედებს შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პერიოდის/ვალდებულების ამოწურვამდე.

3.2 მსესხებელი სიცოცხლეზე დაზღვეულად მიიჩნევა მოსარგებლის მიერ სესხის გაცემის მომენტიდან.

3.3 თუ კონკრეტული სესხით გათვალისწინებულია ერთზე მეტი მსესხებელი, აღნიშნული მსესხებლებიდან წინამდებარე დაზღვევის პირობები ვრცელდება ყველა მსესხებელზე სრულად, როგორც სოლიდარულ მოვალე(ებ)ზე, ხოლო თითოეული მსესხებლისთვის სადაზღვევო ანაზღაურების თანხის დაანგარიშების მიზნებისთვის - მოსარგებლის მიერ განსაზღვრული წილობრიობით (რომლის შესახებ ინფორმაციას მოსარგებლე მიაწვდის მზღვეველს დანართი N1C ინფორმაციის მიმოცვლის წესით განსაზღვრული პირობებით და პერიოდულობით).

4. დაზღვეულის ასაკი

4.1 დაზღვეულის ასაკი დაზღვევის მომენტისთვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები.

4.2 დაზღვევა ავტომატურად არ განახლდება იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის განახლების მომენტისთვის დაზღვეულის ასაკი აღემატება 65 წელს.

5. სადაზღვევო პრემია და გადახდის პირობები

5.1 პრემია გადახდილ უნდა იქნას დამზღვევის მიერ სესხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად;

5.2 მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება გააჩნია დამზღვევს, მოსარგებლის (ლიბერთი ბანკის) დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ სადაზღვევო პრემიის შესრულება უნდა განხორციელდეს მოსარგებლის წინაშე;

5.3 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა არ განხორციელდება ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში, დაზღვევა, რომელზედაც ირიცხება ასეთი დავალიანება ითვლება გაუქმებულად და სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგება სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემდეგ, აღარ ექვემდებარება განხილვა/ანაზღაურებას. ამასთან, აღნიშნული საფუძვლით სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიიდან გამომდინარე დავალიანება არ ექვემდებარება გადახდას.

5.4 მზღვეველი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოსარგებლესთან შეთანხმებით გააუქმოს სადაზღვევო პოლისი. ასეთ შემთხვევაში დამზღვევს დაუბრუნდება სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი თვეზე დამრგვალების პრინციპით. ყოველი არასრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ;

5.5 დამზღვევს არ აქვს უფლება გააუქმოს სადაზღვევო პოლისი შესაბამისი სესხის სრულად დაფარვამდე;

5.6 საშეღავათო პერიოდით გაცემული სესხის შემთხვევაში (გულისხმობს შემთხვევას, როდესაც საშეღავათო პერიოდის განმავლობაში არ ხდება სესხზე დარიცხული პროცენტის და ამავდროულად ძირითადი თანხის გადახდა) საშეღავათო პერიოდი სესხზე არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკისთვის დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას, ხოლო სადაზღვევო პრემია მსესხებელმა უნდა გადაიხადოს შემდეგი წესით: (ა) საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დაგროვილი სადაზღვევო შენატანის (პრემიის) გადასახდელები (იმ თვეების შესაბამისი სადაზღვევო შენატანები) გადაიხადოს ერთიანად სესხის გრაფიკით პირველი გადახდის ვადის დადგომისთანავე; ან (ბ) მიუხედავად საშეღავათო პერიოდისა სესხზე, ყოველთვიურად გადაიხადოს სადაზღვევო შენატანის (პრემიის) ყოველთვიური გადასახდელი.

5.7 მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ სადაზღვევო შენატანის (პრემიის) რომელიმე ნაწილის (მათ შორის პირველი ან ერთჯერადი შენატანის) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება არ ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისგან (გარდა 5.3 პუნქტში აღნიშნული პირობისა), რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ ამ პუნქტში მოცემული საფუძვლებით მზღვეველს ეკრძალება მოშალოს, შეწყვიტოს შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულება.

6. სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

6.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ცნობის (ინფორმაციის) მიღებისას მოსარგებლე აცნობებს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში;

6.2 მოსარგებლე ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მზღვეველს შემთხვევის (მსესხებლის გარდაცვალება) შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის განმავლობაში (იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული იფორმაციის მზღვეველისთვის მიწოდების მომენტისთვის სადაზღვევო პოლისი შეიძლება გაუქმებული/შეწყვეტილი იყოს). შეტყობინების მიწოდება ხდება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო პირის ელექტრონული მისამართზე გაგზავნის გზით. ამასთან, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, თუ დაზღვეულის გარდაცვალებიდან მოსარგებლის ინფორმირებამდე გასულია 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი;

6.3 სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი პირობაა მოსარგებლის მიერ მზღვეველის ინფორმირებიდან მაქსიმუმ 18 (თვრამეტი) თვის ვადაში შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა მზღვეველისთვის:

6.3.1 დაზღვეულის მიერ დაზღვევის გაფორმების მომენტში შევსებული სამედიცინო განაცხადი. (თუკი სესხის გაცემის მომენტში მოსარგებლის მიერ მოთხოვნილი იყო და მსესხებლისთვის სავალდებულო იყო აღნიშნული განაცხადის შევსება და თუკი ორიგინალი დოკუმენტი არ არის მზღვეველისთვის მიწოდებული სადაზღვევო პოლისის გაფორმების ეტაპზე);

6.3.2 დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის ასლი ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი პირის გარდაცვლილად აღიარების შესახებ;

6.3.3 სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები და დაავადების განვითარების სტადიები, კერძოდ ფორმა #106-4 და ფორმა #100 ან გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი;

6.3.4 დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი;

6.3.5 სასესხო ხელშეკრულების ასლი და სასესხო ამონაწერი;
6.3.6 სადაზღვევო პოლისის ასლი
6.3.7 დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი;
6.3.8 თუ სხვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება გარდაცვალების მიზეზი მზღვეველის მოთხოვნის შესაბამისად სამედიცინო/სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი უშუალო მიზეზი. ამასთან, დასკვნის ხარჯებს გაიღებს მზღვეველი;

6.4 თუ მზღვეველისთვის წარდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება გარდაცვალების მიზეზი მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დამატებითი საბუთები (მაგრამ არა მოსარგებლისგან), აღნიშნული დოკუმენტების მიღებას/მოპოვებას უზრუნველყოფს თავად მზღვეველი, ასევე დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების ხარჯებს გაიღებს მზღვეველი.
6.5 წინამდებარე პირობების 6.4 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი უკლებლივ ყველა დამატებითი საბუთის მზღვეველის მიერ მოპოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) თვეს.
6.6 მზღვევლის მიერ წინამდებარე პირობების 6.4 პუნქტის შესაბამისად დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის შემდგომ, მზღვეველს არ აქვს უფლება სადაზღვევო ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ დამატებით მოითხოვოს დამატებითი საბუთი ან/და სხვა რაიმე ქმედების განხორიციელება.
6.7 მზღვეველი აანაზღაურებს მსესხებლის/თანამსესხებლის გარდაცვალების დღისთვის არსებულ დავალიანებას სესხში მსესხებლის/თანამსესხებლის განსაზღვრული წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით, რაც (წილობრივი მონაწილეობა) განისაზღვრება მოსარგებლის მიერ სესხის გაცემის შემდგომ მზღვეველისთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

7. სადაზღვევო ანაზღაურების ვადები

7.1 დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში და მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნით მზღვეველისთვის მიმართვის შემთხვევაში მზღვეველი 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში:
7.1.1 აუნაზღაურებს მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას თუ მზღვეველისთვის წარდგენილი იქნება 6.3 პუნქტში განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, გარდა მე-8 მუხლით განსაზღვრული გამონკლისებისა; ან
7.1.2 დაზღვევის პირობების შესაბამისად უარს განუცხადებს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურებაზე, შესაბამისი არგუმენტებისა და საფუძვლების მითითებით, მოსარგებლისთვის ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით; ან
7.1.3 დაადგენს ხარვეზს, თუ მზღვეველისთვის წარდგენილი დოკუმენტები არასრულია ან/და არაზუსტია, ან/და 6.3.8 პუნქტის შესაბამისად მოითხოვს სამედიცინო/სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას და აცნობებს მოსარგებლეს ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, ხარვეზის გამოსწორების ან/და სამედიცინო/სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 18 (თვრამეტ) თვეს; ან
7.1.4 წინამდებარე პირობების 6.4 პუნქტის შესაბამისად მოითხოვს დამატებით საბუთ(ებ)ს და აღნიშნულის შესახებ აცნობებს მოსარგებლეს ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.
7.2 წინამდებარე პირობების 7.1.3 პუნქტის შესაბამისად ხარვეზის დადგენის შემდგომ მზღვეველისთვის წარდგენილი დოკუმენტები გაივლის 7.1 პუნქტით განსაზღვრულ პროცედურას;
7.3 წინამდებარე პირობების 6.4 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი ყველა დამატებითი საბუთის მიღებიდან ან 6.5 პუნქტში აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში მზღვეველი: (ა) განახორციელებს მოსარგებლისთვის წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას გარდა მე-8 მუხლით განსაზღვრული გამონკლისებისა ან (ბ) დაზღვევის პირობების შესაბამისად უარს განუცხადებს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურებაზე, შესაბამისი არგუმენტებისა და საფუძვლების მითითებით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.
7.4 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მოსარგებლეზე.
7.5 მოცემული მუხლის მიზნებისთვის მოსარგებლესა და მზღვეველს შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო პირების ელექტრონული მისამართზე გაგზავნის გზით.

8. გამონაკლისები - დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ:

8.1 სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეულის გარდაცვალება პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:

8.1.1 ომით, დაპყრობით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით; გაფიცვით, თუ ეს გაფიცვა მიმართულია გადატრიალებისკენ; ნებისმიერი პირის ქმედებით, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

8.1.2 კოვიდ 19-ის ეპიდემიის საქართველოს მთელ ტორიტორიაზე (გარდა იმ ტერიტორიებისა სადაც არ არის აღდგენილი საქართველოს იურისდიქცია) არსებობის პერიოდში (ეპიდემიის არსებობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით) კოვიდ 19-ით გამოწვეული გარდაცვალება;

8.1.3 მაიონიზირებელი გამოსხივებით გამოწვეული გარემოს დაბინძურებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებით, ბირთვული საწვავის აალებით;

8.1.4 დაზღვეულის ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით;

8.1.5 თუ დაზღვეული ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას ან დაზღვეულის ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად გამოწვეული გარდაცვალება;

8.1.6 დაზღვეულის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ თვითდაზიანებით;

8.1.7 დაზღვეულის მკვლელობით, მკვლელობის მცდელობით ან სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება დამზღვევი ან/და სესხის სხვა მსესხებლები ან/და მსესხებლის მემკვიდრეები;

8.1.8 დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი ჩადენის მცდელობით ან დანაშაულის ჩადენისას/მცდელობისას;

8.1.9 დაზღვეულის შიდსით ან HIV-ით ინფიცირებით;

8.1.10 დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობით ან ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული გონების/ცნობიერების დაბინდვით;

8.1.11 დაზღვეულის მონაწილეობით სამხედრო ან ოპერატიულ სამძებრო ოპერაციის ჩატარებაში (სამხედრო ან ოპერატიულ სამძებრო ოპერაციაში იგულისხმება შეირაღებული სპეც. ოპერაცია) და თუ ასეთი ოპერაცით არის განპირობებული დაზღვეულის გარდაცვალება;

8.1.12 დაზღვეულის მიმართ სამხედრო ან საპოლიციო ან ოპერატიულ სამძებრო ოპერაციის ჩატარებაში;

8.1.13 დაზღვეულის მონაწილეობით სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით;

8.1.14 დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;

8.1.15 დაზღვეულის მიერ სანაძლეოს პირობების შესრულებით, აკრობატული ილეთების შესრულებით, რეკორდის დამყარებით ან ამის მცდელობით;

8.1.16 დაზღვეულის მონაწილეობით პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);

8.1.17 დაზღვეულის მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;

8.1.18 მოცდის პერიოდში დაზღვეულის გარდაცვალება შემდეგი მძიმე დაავადებ(ებ)ის შედეგად: ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფიბროზი ან ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატიტი C, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა, გულის თანდაყოლილი ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი ან მისი გართულება, უშაქრო დიაბეტი ან მისი გართულება, ცერებროვასკულარული დაავადებები.

მოცდის პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

იპოთეკური სესხები	9 თვე
სამომხმარებლო სესხები	6 თვე

მიკრო სესხები	3 თვე

8.2. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

8. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების პირობები:

- სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;
- სადაზღვევო თანხის ამოწურვა;
- თუ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად დაფარვა განხორციელდა ვადაზე ადრე; ამ შემთხვევაში დამზღვევს დაუბრუნდება გამოუმუშავებელი პრემია (თუკი წინსწრებით გადახდილია შესაბამისი თანხა) კვარტალზე დამრგვალების პრინციპით. ყოველი არასრული კვარტალი ჩაითვლება სრულად.

მოსარგებლის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მზღვეველს უნდა მიეწოდოს მოსარგებლის ან დამზღვევის მიერ.

9. **მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

9.1. დაზღვევის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

9.2. დაზღვევის ხელშეკრულებიდან ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოსარგებლის იურიდიული მისამართის მიხედვით.

----------/დამზღვევი/

სიცოცხლის დაზღვევის ინსტრუქცია:

ასაკი	მაქსიმალური ლიმიტი (ჯამურად თითოეული მსესხებლისთვის)
18-50 წელი	იპოთეკური სესხების შემთხვევაში - 500 000 ₾; სამომხმარებლო და მიკრო სესხების შემთხვევაში 250,000 ₾

51-60 წელი	150 000 ₾ (მხოლოდ უბედური შემთხვევით გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლებელია 250 000 ლარზე დაზღვევა)
61-65 წელი	100 000 ₾ (მხოლოდ უბედური შემთხვევით გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლებელია 250 000 ლარზე დაზღვევა)
პროცესი: დაზღვევა ხორციელდება ავტომატურად, ჯანმრთელობის განაცხადის შევსების გარეშე	

1. ცხრილში მოცემულ ლიმიტებს, ქველიმიტებსა და ასაკობრივ ზღვრებს ზემოთ დაზღვევა შესაძლებელია მზღვეველთან წინასწარი შეთანხმებით, რისკის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე (შესაბამისი ჯანმრთელობის კითხვარის შევსებისა და მოთხოვნის შემთხვევაში სამედიცინო კვლევების ჩატარების შემდგომ).
2. მსესხებლის 66 წლის ასაკის მიღწევისთანავე დაზღვევა წყდება და აღარ ექვემდებარება ავტომატურ გაგრძელებას;
3. ცალკეულ შემთხვევებში, მზღვეველთან შეთანხმებით, შესაძლებელია მსესხებლის დაზღვევა მხოლოდ უბედური შემთხვევით გათვალისწინებულ გარდაცვალებაზე; ასეთ შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
4. მზღვეველის მიერ მოთხოვნილი მსესხებლის რისკის ინდივიდუალური შეფასებისთვის საჭირო სამედიცინო გამოკვლევების ხარჯებს გაიღებს დამზღვევი;
5. წინამდებარე დანართის შესაბამისად, მსესხებელი სიცოცხლეზე დაზღვეულად მიიჩნევა სესხის აღების მომენტიდან და პრემიის გადახდის ვალდებულება ეკისრება სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

----------/დამზღვევი/